25 გახარია საქართველოსთვის

ღირსეული ცხოვრების მანიფესტი

საარჩევნო პროგრამა 2024

პრეამბულა

ჩვენ, პარტია „გახარია საქართველოსთვის“, წარმოვადგენთ **სოციალ-დემოკრატიულ, პროგრესულ** პოლიტიკურ ძალას, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციისკენ.

ამ ტრანსფორმაციის შედეგად ის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ერთად ავაშენებთ, დაეფუძნება **თავისუფლების, სოციალური თანასწორობისა** და **სოლიდარობის** იდეებს.

ჩვენ გვჯერა, რომ **დემოკრატიულმა** საზოგადოებამ, რომელიც აღიარებს **თითოეული მოქალაქის თანაბარ ღირსებას,** ადამიანის თავისუფლებისა და მისი უნიკალური, ინდივიდუალური პოტენციალის სრული რეალიზებისთვის უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საჭიროებები, მათ შორის, ღირსეული სამუშაო ადგილები, ეფექტური და გარანტირებული სოციალური დაცვა, ღირსეული საცხოვრისი, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვა და განათლება.

ჩვენ ვიბრძვით **სოლიდარული საზოგადოებისთვის,** სადაც ყველას აქვს წარმატების მიღწევის სამართლიანი შესაძლებლობა; საზოგადოებისთვის, რომელიც ეფუძნება როგორც თაობათა შორის სოლიდარობას, ისე ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური და კულტურული ჯგუფების ურთიერთ მხარდაჭერისა და ურთიერთ განვითარების იდეას, რაც, თავის მხრივ, პროგრესისა და ჰარმონიული თანაცხოვრების საწინდარია. **ჩვენ ვემსახურებით ისეთი საზოგადოების იდეას, სადაც თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა და განვითარება ყველა დანარჩენის მიზანი და ინტერესია.**

ამისათვის, **ჩვენ გვჭირდება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია.**

ჩვენ ვაღიარებთ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს როლს **საზოგადოების კეთილდღეობასა და პროგრესში,** ისეთი მომავლის მშენებლობისთვის, სადაც ყველა ინდივიდს საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზება შეუძლია. ჩვენ მხარს ვუჭერთ **პროაქტიულ სახელმწიფოს,** რომელიც განსაზღვრავს და ავითარებს სტრატეგიულ ეკონომიკურ სექტორებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო და ლოგისტიკური სფეროს, განახლებადი ენერგიის, არასაბანკო საფინანსო სექტორების განვითარებას, ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროების განვითარებას გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის, მხარს უჭერს ძლიერ კერძო სექტორსა და **საჯარო და კერძო სექტორებს შორის პროდუქტიულ თანამშრომლობას.** ეკონომიკური ტრანსფორმაციის ჩვენეული ხედვის ცენტრალური მიზანი არის **ღირსეული, მდგრადი, მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა.**

ჩვენ გვჯერა, რომ **ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები** შეიძლება რეალიზდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკა და ხელისუფლება დემოკრატიულად იმართება. ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი არის **ძლიერი, განათლებული, თანასწორი და აქტიური** მოქალაქე. ამასთან, ჭეშმარიტი დემოკრატია არა მხოლოდ საჯარო, პოლიტიკურ ველში უნდა იყოს, არამედ სამუშაო ადგილებზეც. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამუშაო ადგილებზე დემოკრატიას, სადაც ყველა მშრომელს აქვს პირდაპირი ან ირიბი (კოლექტიურად უზრუნველყოფილი) უფლება გავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მათი უფლებების დაცვას ეხება.

ეკონომიკური ტრანსფორმაცია შეუძლებელია ადამიანური უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების გარეშე, რასაც უნივერსალური და ხარისხიანი განათლება, ჯანდაცვა, და სოციალური

დაცვა სჭირდება. **ადამიანური უნარებისა და შესაძლებლობების მუდმივი განვითარება და ამისთვის შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება ჩვენი ფუნდამენტური ამოცანაა.**

ჩვენ ავაშენებთ სოციალურ სახელმწიფოს, როგორც სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური სამართლიანობის ინსტიტუციონალიზების მოდელს. სოციალური სახელმწიფო მძლავრი სოციალური უსაფრთხოების სისტემითა და სოციალური სერვისების უნივერსალური ხელმისაწვდომობით, მოქალაქეებს შორის ამკვიდრებს და ავითარებს სოლიდარობის, ერთმანეთზე ზრუნვისა, ურთიერთ განვითარების კულტურას და ქმნის ინტეგრირებულ, სამართლიან და წარმატებულ საზოგადოებას.

სოციალური პოლიტიკის ჩვენეული ხედვა სცილდება ადამიანების მხოლოდ ბიოლოგიური გადარჩენის მიზანს. ჩვენ დავნერგავთ **სოლიდარულ და უნივერსალურ სოციალურ პოლიტიკას,** რომელიც არა მხოლოდ იცავს ადამიანებს ცხოვრებისეული ხიფათისა თუ წარუმატებლობებისგან, არამედ აქტიურად მუშაობს სიღარიბისა და უთანასწორობის დასაძლევად, ინდივიდების გაძლიერებისა და მათი სრული პოტენციალის რეალიზებისთვის, მათ შორის, ჩვენი დამსახურებული პენსიონერებისთვის ღირსეული ცხოვრების მოწყობისთვის, როგორც თაობათაშორისი სოლიდარობის განსახიერება..

სწორედ **ამგვარი ტრანსფორმაციული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკით შევძლებთ,** გავარღვიოთ **სტრუქტურული სიღარიბისა და უთანასწორობის** მანკიერი წრე, რომელიც ძირს უთხრის ჭეშმარიტ დემოკრატიულ ჩართულობასა და ეკონომიკურ წინსვლას და ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოებისთვის დამაზიანებელი **სოციალური კონფლიქტების წარმოშობას. სწორედ ასეთი სოციალური სახელმწიფო** არის ადამიანების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. ამგვარი სახელმწიფოს ფარგლებში, ჩვენ ერთად შევქმნით **შევიწროებისაგან და დისკრიმინაციისაგან** თავისუფალ, **თანასწორი შესაძლებლობების** მომტან ინსტიტუციურ გარემოს.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი **საზოგადოების მრავალფეროვნებაშია.** მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში **მზარდი პოლარიზაცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის** ჩვენი ქვეყნის პროგრესს. **ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია დაასრულოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია. ჩვენ შევქმნით ისეთ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ჯგუფებს შორის ურთიერთ მხარდაჭერასა და შეკავშირებულობას.** ჩვენს მიერ გატარებული პოლიტიკა უზრუნველყოფს თითოეული ადამიანისა და ყველა მოწყვლადი ჯგუფის, მათ შორის ქალების, ახალგაზრდების, უმცირესობების, ინტერესებისა და უფლებების დაცვას და ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან ინტეგრაციას ქვეყნის სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. **ჩვენ შევძლებთ საზოგადოებაში არსებული განსხვავებები ვაქციოთ ჩვენს უპირატესობად და ჩამოვყალიბდეთ საზოგადოებად, რომელიც ერთდროულად მრავალფეროვანიცაა და ერთიანიც.**

სოციალური სამართლიანობა, ასევე მოითხოვს საარსებო გარემოს შენარჩუნებას, მოვლასა და გაუმჯობესებას. ჩვენ დავნერგავთ **ბუნებრივი რესურსების მართვის დემოკრატიულ, სამართლიან და მდგრად სისტემას,** რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ეკოსისტემების მდგრადობას, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასა და მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას. **განვახორციელებთ ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით მართვას არა ერთეულების გამდიდრებისთვის, არამედ ყველას საკეთილდღეოდ, რადგან მივიჩნევთ, რომ ეს არის ერთმანეთისადმი და ჩვენი მომავალი თაობებისადმი სოლიდარობის გამოხატულება.**

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რომ ქვეყანა დავაბრუნოთ ევროპული განვითარების გზაზე, **აღვადგინოთ დემოკრატიული მმართველობის სისტემა და ქვეყანაში განვამტკიცოთ სამართლიანი წესრიგი.** ამისთვის ჩვენ, **მთავრობა და ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი უნდა დავაბრუნოთ საზოგადოების სამსახურში**. ჩვენი სისტემური პოლიტიკის მეშვეობით, ჩვენ უზრუნველვყოფთ სახელმწიფო სტრუქტურების **ანგარიშვალდებულებასა**

და გამჭირვალეობას, კორუფციისა და ნეპოტიზმისაგან თავისუფლებას. ამისთვის, **დამოუკიდებელმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან სასამართლო დამოუკიდებლობა და სისტემის მიუკერძოებლობა,** შეინარჩუნონ საზოგადოების ნდობა მათი ავტორიტეტისა და რეპუტაციის მიმართ.

ამ ცვლილებებს განვახორციელებთ **კეთილსინდისიერ, კვალიფიციურ და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალ** საჯარო მოსამსახურეებთან ერთად, რომლებიც შექმნიან ძლიერ და **ეფექტურ სახელმწიფო აპარატს და ბიუროკრატიას.** სისტემას, სადაც სახელმწიფო სამსახურში ჩართული მოხელეები, მათი შრომა, მათი განვითარება და კარიერული წინსვლა მხარდაჭერილი იქნება სამართლიანი სახელმწიფო მართვის სისტემით. შედეგად, **სახელწმიფო და მისი ინსტიტუტები იქნებიან ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის სადარაჯოზე.**

ჩვენ მივიჩნევთ, რომ **ევროკავშირი** წარმოადგენს ევროპის **ხალთა შორის სოლიდარობის** და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებულ დღემდე ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებას, რომელმაც საკუთარი არსებობით შექმნა **გრძელვადიანი მშვიდობის, დემოკრატიისა და საყოველთაო კეთილდღეობის** საუკეთესო მაგალითები. მიგვაჩნია რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, რაც ჩვენი ერის ისტორიული არჩევანია, წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას საქართველოს **პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციისათვის.**

ამ პროცესის შედეგად, ჩვენ გავხდებით გაფართოებული, ახალი ევროპის დემოკრატიული და კულტურული განვითარების ნაწილიც და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორიც. **სწორედ ევროკავშირია ის ადგილი, სადაც არსებობს ისტორიული და კულტურული იდენტობის დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტი.** საქართველო იქნება იმ ორმხრივი პროცესის ნაწილი, რომელიც ეფუძნება ერთა შორის სოლიდარობას, საერთო ღირებულებებს და შესაბამისად ურთიერთ პასუხისმგებლობას. ჩვენი მომავალი წარმატებაც, სწორედ ამ პასუხისმგებლობის სრულ გააზრებას დაეფუძნება.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჩვენი საერთო ეროვნული მიზანია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროკავშირში გაწევრიანება არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენისაკენ.

ჩვენ ვთვლით, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარეშე არ არსებობს ძლიერი ქართული სახელმწიფო. ჩვენ ვემსახურებით მშვიდობიან განვითარებასა და პროგრესს. ამიტომ, **ჩვენი მიზანია, რომ ეროვნული ინტერესების,** სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, **მშვიდობიანად უზრუნველყოფისთვის ვაწარმოოთ პრაგმატული პოლიტიკა ყველასთან, მათ შორის, რუსეთთან.**

ევროკავშირის წევრობა გვჭირდება სწორედ იმისთვის, რომ ძლიერი ქართული სახელმწიფო დასავლელ პარტნიორებთან ერთად ძლიერი პოზიციით ესაუბროს კონფლიქტის მხარეებს ქვეყანას მშვიდობიან დე-ოკუპაციაზე და მიაღწიოს შედეგს!

დღეს, საქართველოს ხელისუფლებამ პრაგმატული პოლიტიკის ნაცვლად, დაუშვა მძიმე შეცდომა, როდესაც საქართველო დაუპირისპირა დასავლეთს და ამით აქცია მხარედ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში. **ეს შეცდომა ჩვენი გამოსასწორებელია. დღეს, გლობალური თუ რეგიონალური უსაფრთხოების გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მხრიდან სოლიდარობის პრინციპზე დაყრდნობით. რაც ნიშნავს, რომ რეგიონული, ისე როგორც გლობალური გრძელვადიანი მშვიდობა, მხოლოდ ცივილიზებული ქვეყნების ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი.**

ჩვენ რამდენიმე თვეში გადავდგამთ **ყველა საჭირო ნაბიჯს,** ევროკავშირის გაფართოებაზე მოლაპარაკების სწრაფად დასაწყებად და საქართველოს კვლავ ვაქცევთ გაწევრიანების პროცესის ლიდერ სახელმწიფოდ. **ჩვენ ვართ სწორედ ის პოლიტიკური ძალა, ვისაც შეუძლია საქართველო**

გაიყვანოს სამშვიდობოს, ერთის მხრივ სრულფასოვნად და მაქსიმალურად სწრაფ ვადებში მოვახდენთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რომლის არც ერთ წევრს ევროკავშირის არსებობის 50 წლიანი ისტორიის მანძილზე არ ქონია სამხედრო კონფლიქტი. ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოსთვის გავაძლიერებთ ევროატლანტიკური უსაფრთხოების ჩარჩოთი შექმნილი გრძელვადიანი მშვიდობის გარანტიებს.

ჩვენ ვემსახურებით მომავალს, სადაც სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი არის ადამიანის პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია, რისთვისაც სახელმწიფო თავადვე ქმნის წინაპირობებს მათი დემოკრატიული ჩართულობისა და საყოველთაო კეთილდღეობისთვის.

ჩვენ, ნამდვილი ღირსებით, ნამდვილი მშვიდობითა და ნამდვილი კეთილდღეობით მივაღწევთ მიზანს, შევქმნით ევროპული სტილის დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ძალა და საერთო სიკეთის გუშაგია. ერთობლივი ქმედებით და ურყევი ნებით ჩამოვაყალიბებთ საზოგადოებას, რომელიც არის დემოკრატიული, სამართლიანი და სოლიდარული.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხედვა

ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაგვანახა, რომ სოციალ-ეკონომიკური განვითარების **არსებულმა** მიდგომებმა, ვერ მოგვიტანა საკმარისი შედეგები სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის კუთხით. მეტიც, ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ამ პოლიტიკამ სათანადოდ აღმოფხვრა ადამიანებისა და ბუნების ექსპლუატაცია, გამოიწვია მზარდი ემიგრაცია და შინა მეურნეობების ჭარბვალიანობა, წარმოშვა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი უთანასწორობა, რაც კიდევ უფრო აღვივებს სოციალურ კონფლიქტებს და ძირს უთხრის ჭეშმარიტ დემოკრატიულ პროცესებს.

ქვეყნის სოციალური ეკონომიკური განვითარების ჩვენეული ხედვა ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან **ტრანსფორმაციას,** რომლის მიზანია არა მხოლოდ რაოდენობრივი ეკონომიკური ზრდა, არამედ ისეთი სოციალ-ეკონომიკური მოდელის შექმნა, რომლის ცენტრალური ფიგურაც არის ადამიანი, მისი კეთილდღეობა და სოციალური დაცვა. **ეკონომიკა და მისი განვითარება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობას და არა პირიქით.**

ევროპული ქვეყნების განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ეფექტიანი ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკის სახელმწიფო კოორდინირების შერწყმის ოპტიმალური მოდელით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს სჭირდება, ეკონომიკური განვითარების ახალი, **ტრანსფორმაციული** ხედვა, რომლიც დაეფუძნება **სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპებს,** რაც აუცილებელი წინაპირობაა, საქართველოს კონსტიტუციაში ასახული **სოციალური სახელმწიფოს** განვითარებისათვის.

სოციალურმა და ეკონომიკურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და ასაკობრივ ჯგუფებს შორის **სოლიდარობის** გაძლიერება და მათ შორის ურთიერთ დაკავშირებულობა. ამ მიზნისთვის, ჩვენ შევქმნით **ევროპული ტიპის სოციალურ სახელმწიფოს,** რომელიც გულისხმობს **მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას** და **კეთილდღეობის სახელმწიფოს** ევროპული მოდელის დანერგვას; მოდელის, რომელიც მოითხოვს საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ყველას მაქსიმალურ ჩართულობასა და შექმნილი სიკეთეების საყოველთაობას. ეს მოდელი გულისხმობს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების სრულ ინტეგრაციას საზოგადოებაში, რისთვისაც აუცილებელია მათ სოციალურ ეკონომიკური უფლებების დაცვა და მათი

ეკონომიკური გაძლიერება. მათ შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რომ ქვეყანაში ფუნდამენტურად შეიცვალოს არსებული უთანასწორო გარემო და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილმა ქალებმა შეძლონ საკუთარი უფლებების უკეთესად დაცვაც და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. ეს საშუალებას მისცემს მათ, თავად გადაწყვიტონ საკუთარი პირადი ცხოვრებისა თუ პროფესიული განვითარების გზა.

ასევე, მნიშვნელოვანია რომ სოციალური ეკონომიკური პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცეს ახალგაზრდობაც, რომლებიც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე არიან, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე. ამიტომაც სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ახალგაზრდებზე და მათ განათლებასა და დასაქმებაზე.

სწორედ ამაში მგომარეობს ჩვენი გუნდის ახალი სოციალურ ეკონომიკური ტრანსფორმაციული პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც, მაქსიმალურად გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესები და ხელს უწყობს, ქვეყნის განვითარებას საზოგადოების თითოეული წევრის მაქსიმალური ჩართულობითა და თითოეული წევრისათვის სარგებლის უზრუნველყოფით.

1. ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო - "ევროპული კეთილდღეობა საქართველოსთვის"

"გახარია საქართველოსთვის" გუნდის ეკონომიკური განვითარების ცენტრალური პრინციპი მისი ინკლუზიურობაა / საყოველთაობაა, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური წინსვლით სარგებელი არა ერთეულებმა, არამედ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს. ასევე, ჩვენი პოლიტიკა გულისხმობს, ეკონომიკური განვითარების პროცესში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და მათ მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას.

ჩვენი მიზნად ვისახავთ იმდაგვარ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც შექმნის **სტაბილურ, მაღალკვალიფიციურ, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებს,** სადაც დაცულია შრომითი პირობები და უფლებები და უზრუნველყოფილია პროფესიული ზრდისა და განვითარების რეალური შესაძლებლობები.

ჩვენი დასაქმების პოლიტიკა ორიენტირებული იქნება, რომ უზრუნველყოს ყველა იმ ადამიანის დასაქმება, რომელსაც ამის სურვილი და შესაძლებლობა აქვს. ამიტომ, ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა მოიაზრებს დასაქმების სპეციალურ ზომებს, როგორიცაა: **საგანმანათლებლო პროგრამები; დასაქმების ხელშეწყობის სერვისები; საჯარო დასაქმების პროგრამები; მეწარმეობის მხარდაჭერა განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო ბიზნესზე; დასაქმების სუბსიდირება კონკრეტული ჯგუფებისათვის,** მაგალითად: გრძელვადიანი უმუშევრები, შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი პირები, ქალები, ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ.

ამასთან, ვთვლით, რომ აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გადააზრება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს გააჩნია განსაკუთრებული როლი ეკონომიკაში და მისი ცალკეული დარგების განვითარებასა და სტიმულირებაში. ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ აქტორებს შორის **თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის გარემოს უზრუნველყოფა მძლავრი ანტი-მონოპოლიური / ანტი-მონოფსონიური პოლიტიკით**, რამაც უნდა შექმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, დასძლიოს ბაზარზე მონოპოლიების, ოლიგოპოლიების და კარტელური გარიგებების არსებობა. იმავდროულად, სახელმწიფოს გააჩნია მნიშვნელოვანი როლი, როგორც ეკონომიკის სტიმულირების, ისე ცალკეული დარგების განვითარებისა და საბოლოო ჯამში

ხარისხიანი და მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში. სახელმწიფოს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია და როლი ეკონომიკური შედეგების სამართლიანი გადანაწილებისათვის დანერგოს შესაბამისი საგადასახადო სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ერთიანი ბიუჯეტის შექმნაში. ეს, მათ შორის ნიშნავს წარსულში კორუფციულად და არასამართლიანად შექმნილი საგადასახადო შეღავათების ეტაპობრივ გაუქმებას და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფას ამ მიმართულებითაც. მნიშვნელოვანია, რომ **სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკით შეღავათები შესაძლებელი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზნად ისახავს მთავარ პირობას ბიზნესისთვის, რომ შეიქმნება ახალი და ღირსეული სამუშაო ადგილები.**

1.1. სტრატეგიული ეკონომიკური სექტორების განვითარება

დღეს, საქართველოს საექსპორტო კალათა, ძირითადად ისეთი პროდუქციისგან შედგება, რომელიც დაბალპროდუქტიულია. ამ თვალსაზრისით საქართველო ჩამოუვარდება პოსტ-საბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ქვეყნას. ეს ხელს უშლის დოვლათის დაგროვებასა იმპორტირებულ პროდუქციაზე დამოკიდებულების დაძლევას.

"გახარია საქართველოსთვის" ფუნდის მიდგომა ეფუძნება განვითარების ეკონომიკის საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო მაგალითებს. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ შემუშავებული ეკონომიკური ტრანსფორმაციის ასეთი გეგმა ეხლანდელმა მთავრობამ არ განახორციელა. ჩვენ ეს საქმეც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

ჩვენ ვთვლით, რომ მიზნობრივი, ინდუსტრიული პოლიტიკით ჩვენ შევძლებთ ეკონომიკის პროდუქტიულობისა და მაღალტექნოლოგიური, მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციის ექსპორტის ზრდას, რაც არსებითია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით, განსაკუთრებით ევროკავშირთან გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულებით (DCFTA), მიღებული შესაძლებლობების სრულად ათვისებისთვის.

ამ პროცესის განსახორციელებლად, ჩვენ ხელისუფლებაში ყოფნისას დავაიდენტიფიცირეთ და შემდგომში გავაფართოვებთ სტრატეგიულ ეკონომიკურ მიმართულებებს, რომლებსაც, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი მიდგომებით განვავითარებთ. **განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გადამამუშავებელი მრეწველობისა, სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო და ლოგისტიკური სფეროს, განახლებადი ენერგიის, ტურიზმის და არასაბანკო საფინანსო სექტორების განვითარებას და ტექნოლოგიების განვითარებით დაბალპროდუქტიული წარმოებიდან აქცენტის გადატანას მაღალპროდუქტიულ წარმოებაზე. ეს ქვეყნის საექსპორტო კონკურენტუნარიანობას გაძლიერებს. ამ მიზნის განსახორციელებლად:**

შემუშავდება სექტორული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტები; შეიქმნება ექსპორტის ხელშეწყობის მაკოორდინირებელი სათათბირო ორგანო; **შეიქმნება ექსპორტის დაფინანსების სააგენტო** - სახელმწიფო ფინანსურად და ტექნიკურად მიეხმარება კომპანიებს, განახორციელონ საკუთარი პროდუქციის ექსპორტი სხვადასხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, მათ შორის ევროკავშირსა და აშშ-ში. **განხორციელდება ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვებში ქართული ბიზნესის მონაწილეობის ხელშეწყობა;** მოხდება საჯარო **სამეცნიერო და კვლევითი ორგანიზაციების საბიუჯეტო და შერეული (საბიუჯეტო და განვითარების პარტნიორები) დაფინანსების ზრდა და სხვ;**

იხილეთ დეტალურად.

1.2. ქვეყნის კრიტიკული სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარება

“გახარია საქართველოსთვის” გუნდის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარება და სისტემური ინფრასტრუქტურის მშენებლობა. **ვთვლით, რომ ეს პროცესი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, დასაქმების ხელშეწყობისა და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის.** ასევე, ჩვენი ხედვაა რომ ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებდეს საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესებს, მათ შორის ქალთა, შშმ პირებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების სპეციალურ საჭიროებებს.

ჩვენ განვახორციელებთ კრიტიკული სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მშენებლობის 4 წლიან პროექტს, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე დასრულდება გაზიფიკაციის, წყალმომარაგების და ინტერნეტიზაციის პროცესი. აღნიშნულის შედეგად, საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში მოქალაქეებს ექნებათ შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე, გაზსა და სწრაფ ინტერნეტზე.

მოსახლეობის საჭიროებების, რეგიონებს შორის დაკავშირებულობისა და ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე განხორციელდება ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა. **ეს მოიცავს ისეთ სისტემურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული სატრანსპორტო კორიდორის შემდგომი გაფართოვება კახეთის, გურია-სამეგრელოს და რუსთავი-გარდაბნის მიმართულებით, ახალი საქალაქთაშორისო სამგზავრო სისტემის შექმნას, თბილისის მეტროს გაფართოვებას, სახელმწიფო რკინიგზის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტს და სხვ.** აღნიშნული გრძელვადიანი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება სახელმწიფოს მხრიდან სამუშაო ადგილების შექმნისთვის.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ინფრასტრუქტურული კავშირების გაძლიერება. ჩვენ განვახორციელებთ სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობას ევროკავშირთან მეტი ეკონომიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფისა და მეტი მოქალაქეების მიერ, მეტი სარგებლის მიღებისთვის.

ჩვენ მოვახდენთ საერთაშორისო განვითარების პარტნიორებისგან და ევროკავშირის სექტორული ინტეგრაციისა და გაწევრიანებამდე მხარდაჭერის ფონდებიდან (IPA III) ფინანსურის რესურსების მობილიზებას. ამ მხარდაჭერის შედეგად, **ქვეყანაში საბოლოოდ დასრულდება 4 ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული გამოწვევა: კრიტიკული სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მოწყობა ქვეყნის მასშტაბით, სასოფლო-სამეურნეო სექტორში სამელიორაციო და საირიგაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა/რეაბილიტაცია (იქ სადაც ამას ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა), იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტთა ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა და მუნიციპალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.**

სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროგრამების ეფექტურობის მაქსიმიზაციის მიზნით, ინფრასტრუქტურის მშენებლობისას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ადგილობრივი ადამიანური რესურსებისა და ადგილობრივი კომპანიების ჩართვასა და მათ განვითარებაზე. ამისათვის, ინფრასტრუქტურული **მშენებლობის გრძელვადიანი გეგმის ფარგლებში შემუშავდება შესაბამისი კვალიფიკაციის შრომითი რესურსების განვითარებისა და ასევე ადგილობრივი კომპანიების შესაბამისი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის გრძელვადიანი გეგმა.**

მასშტაბური ინფრასტრუქტურული განვითარება უნდა გადაიქცეს დასაქმების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, და ასევე, ამ პროექტებთან დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საშუალებად.

იხილეთ დეტალურად.

1.3. განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური სექტორის შექმნა

“გახარია საქართველოსთვის” გუნდი თვლის, რომ ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია ჯანსაღი ფინანსური სისტემა. **ჩვენი მიზანია ფინანსური სექტორის მრავალფეროვნების და გამჭვირვალობის ხელშეწყობა შესაბამისი ევროპული მარეგულირებელი ჩარჩოს ამოქმედებით.** ეს ხელს შეუწყობს ერთის მხრივ საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და მეორეს მხრივ შინამეურნეობების ჭარბვალიანობის დაძლევას.

დღეს საქართველოში არსებული ფინანსური სექტორი ძირითადად საბანკო საქმიანობით შემოიფარგლება. **ბაზარზე დომინირებს რამდენიმე კომერციული ბანკი და ალტერნატიული ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობა მცირდება.** ჩვენ მოვახდენთ საბანკო და არასაბანკო ფინანსური საქმიანობის, მთლიანად ფინანსური სექტორის განვითარების, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროექტების და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე მიმართული ფინანსური სექტორის ჩამოყალიბებისთვის გადავდგამთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, მათ შორის:

განვახორციელებთ საფინანსო სექტორში ევროპული რეგულაციების შემოტანას, რაც მათ შორის, გულისხმობს სექტორული რეგულირების ჩარჩოს დანერგვას. ევროპული რეგულირება შექმნის ევროპული საფინანსო ინსტიტუტების შემოსვლის შესაძლებლობას. **შედეგად, კონტროლის ახალი მექანიზმების და კონკურენციის პირობებში შემცირდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთები.**

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, გაფართოვდება საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმები, განსაკუთრებით მიკრო და მცირ ბიზნესის მიმართულებით. ასევე **“საპარტნიორო ფონდის“ რეფორმის შედეგად შეიქმნება ეკონომიკური განვითარების ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს, უზრუნველყოფს გრძელვადიანი და სტრატეგიულ დაფინანსებას (გრძელვადიანი 10-15 წლიანი დაბალპროცენტიანი ბიზნეს სესხები).** ასევე, ყველა სოციალურად ორიენტირებული საკრედიტო პროგრამები განხორციელდება განვითარების ბანკის მიერ;

განხორციელდება მევახშეობის და მტაცებლური დაკრედიტების პრაქტიკის მკაცრი რეგულირება, მათ შორის, სამოქალაქო ურთიერთობების ნაწილში, რომელიც დღეს ხშირად ხდება ადამიანების უსახლკაროდ დატოვების მიზეზი.

განხორციელდება კაპიტალის ბაზრის ფუნდამენტური რეფორმა. რეფორმის საფუძველი იქნება იმ მონო-ინდუსტრიული საწარმოების რეფორმა, რომლებიც განთავსებულია ჭიათურაში, ტყიბულში, ზესტაფონსა და რუსთავში. ამ პროცესის ფარგლებში მოხდება საწარმოების დროებითი რე-ნაციონალიზაცია და შემდგომ საფონდო ბირჟის საშუალებით ამ საწარმოებში ევროპული ინვესტორების შემოყვანა. კაპიტალის ბაზრის რეფორმის შედეგად, სახელმწიფო, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეკონომიკის სხვადასხვა სტრატეგიულ დარგებს გაუჩნდებათ გრძელვადიანი ფინანსურ რესურსებზე წვდომა. **ასევე, შეიქმნება ე.წ. „სახალხო დაფინანსების“ პლატფორმა,** რომელიც საშუალებას მისცემს დამწყებ ბიზნესს, მოიზიდოს ფინანსური რესურსები კაპიტალში მონაწილეობის სანაცვლოდ საზოგადოების მაღალშემოსავლიანი ნაწილისგან.

იხილეთ დეტალურად.

1.4. სიღარიბის დაძლევა სოფელში და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება

"გახარია საქართველოსთვის" გუნდის ხედვაა, რომ სახელმწიფო აქტიურად იყოს ჩართული სოფლის მეურნეობის განვითარებაში და დაიცვას ადგილობრივი მწარმოებლების და გლეხების ინტერესები. ჩვენ დავნერგავთ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ, მიზნობრივ მიდგომებს, რომელიც მოემსახურება სექტორის პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდასა და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას.

ჩვენ მივიღებთ კანონს, **„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"** რომელიც პირველ რიგში დაარეგულირებს, ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობისა და ხარისხის დაცვის საკითხებს, მოახდენს მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციისა და ბიოწარმოების პრიორიტეტიზაციას, შექმნის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობის ჩარჩოსა და ვალდებულებებს.

ასევე, ამ **კანონით გაიწერება სახელმწიფოს ჩართულობისა და როლის საკანონმდებლო გარანტიები, მათ შორის, ძირითადი ინფრასტრუქტურის, უწყვეტი ენერგო მიწოდებისა და წყალმომარაგების, ხარისხიანი სამეურნეო საშუალებების ხელმისაწვდომობის მიმართულებით.**

სექტორის განვითარების ამ ეტაპზე, **სახელმწიფო დაიცვას ადგილობრივი წარმოებას სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების იმ პროდუქტებზე,** რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით იქნება გათვალისწინებული. **ამისთვის, ხელისუფლება გამოიყენებს საერთაშორისო კანონმდებლობით დაშვებულ საგადასახადო და სხვა სატარიფო მექანიზმებს მანამ, სანამ ადგილობრივი წარმოება არ მოძლიერდება და არ მოხდება საწარმოო რესურსები გამსხვილება სოფლის მეურნეობაში.**

ჩვენ დავნერგავთ მარკეტინგის თანამედროვე მიდგომებს, რათა განვავითაროთ საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორი, ვაწარმოოთ მაღალი ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ავამაღლოთ ჩვენი გლობალური კონკურენტუნარიანობა. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ადგილობრივი მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილება, რაც ხელს შეუწყობს მზარდი ტურიზმიდან ქვეყნისთვის მეტ შემოსავალსა და გააძლიერებს **ქვეყნის საკვების სუვერენიტეტს და უსაფრთხოებას.**

ჩვენ ხელს შევუწყობთ სოფლის მეურნეობაში კვების მრეწველობის დარგის განვითარებას, იმისათვის, რომ ფერმერული მეურნეობა გარდავქმნათ აგროსამრეწველო მიმართულებებად.

ჩვენ განვახორციელებთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინვესტიციებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევასა და ტექნოლოგიურ წინსვლაში, რაც უზრუნველყოფს ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვას.

სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის რეგიონების გაძლიერებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში.

იხილეთ დეტალურად.

1.5. სამართლიანი და კონკურენტუნარიანი სამეწარმეო გარემოს შექმნა

გახარია საქართველოსთვის" გუნდის მთავარი პრინციპია, რომ ეკონომიკური განვითარება ემყარებოდეს სოციალური სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებს. მთავარი მიზანი არის ბიზნესის მხარდაჭერა სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის დანერგვით. ეს გულისხმობს, რომ მეწარმეებს ექნებათ ვალდებულება გააუმჯობესონ სამუშაო პირობები და უზრუნველყონ ღირსეული ანაზღაურება. ამავდროულად კი, სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა გადასახადის გადამხდელისთვის თანაბარ და სამართლიან პირობებს, რაც მათ საშუალებას მისცემს კონკურენციაში სამართლიანად მიიღონ მონაწილეობა. სახელმწიფო უზრუნველყოფს გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს, სადაც ყველა მეწარმეს ექნება თანაბარი შესაძლებლობა განვითარდეს და წარმატებას მიაღწიოს.

ჩვენ ვიმუშავებთ კონკურენციის მხარდაჭერის მიმართულებით, რათა ბაზარზე ყველა მოთამაშეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა. ანტიმონოპოლიური რეგულაციების და კანონმდებლობის დახვეწა ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობას.

ასევე, ჩვენი მიზანია **ეკონომიკური მმართველობის გაძლიერება** სახელმწიფო საწარმოები იმუშავებენ კორპორატიული მმართველობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის ზრდას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას. **ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ სახელმწიფო საწარმოების მართვა გათავისუფლდეს პოლიტიკური ზეწოლისგან და გამჭვირვალე გახდეს მათი ფუნქციონირება.**

ამ და სხვა ცვლილებების განხორციელება აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იყოს მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობები და მომხმარებლებისთვის ხარისხიანი პროდუქტები.

იხილეთ დეტალურად.

1.6. ენერგეტიკა და მწვანე ეკონომიკის განვითარება

ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა და მიზნობრივი ინდუსტრიული პოლიტიკა აუცილებელია განხორციელდეს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრინციპების დაცვით. ჩვენი მიზანია შევქმნათ საფუძველი მდგრადი, ინკლუზიური და მწვანე ეკონომიკისთვის, რომელიც ორიენტირებულია დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი რესურსები მომავალი თაობებისთვის.

მწვანე ეკონომიკის განვითარება ასევე ქმნის დამატებით მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით იმ გეოგრაფიულ არეალებში, სადაც ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემის მიერ მიღებული ზიანის კონცენტრაცია მაღალია.

ჩვენი ხედვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის, მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას:
ბუნებრივი რესურსების მართვის დემოკრატიული, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა - გარემოსდაცვითი მექანიზმების გაფართოვება; ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების დაგეგმვაში გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და დაინტერესებული სოციალური ჯგუფების დემოკრატიულ ჩართულობისა და გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ამგვარი პროექტების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების სრული და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვა.

განახლებადი ენერგიის წყაროების ინფრასტრუქტურის განვითარება - ინვესტიციების ხელშეწყობა განახლებადი ენერგიის წყაროებში, მზის, ქარის, ჰიდროენერგეტიკის მიმართულებით; ენერგოეფექტურობის პროგრამების და ღონისძიებების გატარება, მათ შორის როგორც საცხოვრებელი, კომერციული, ასევე ინდუსტრიული მიმართულებით; ასევე, საქართველოს ელექტროსისტემისა და ქსელის მოდერნიზაციის ეროვნული პროექტის განხორციელება.

მწვანე ინდუსტრია და ინოვაციები - მწვანე „სტარტაფ" პროექტების მხარდაჭერა, მდგრადი ეკონომიკის ხელშემწყობი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, მწვანე ობლიგაციების ინსტრუმენტების განვითარება და მწვანე ეკონომიკის მიმართულებთ კვლევების გაძლიერება.

მდგრადი ურბანული პოლიტიკა - მათ შორის კანონი მწვანე სივრცეებზე მოქალაქეების უფლების შესახებ, ნარჩენების მართვა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა.

იხილეთ დეტალურად.

1.7. სამთო მომპოვებელი წარმოების მოდერნიზაცია

გახარია საქართველოსთვის" გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ საქართველოს სამრეწველო ცენტრების, მათ შორის ჭიათურის, რუსთავის, ზესტაფონის, ტყიბულისა და კაზრეთის მძიმე ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს. ჩვენ განვავითარებთ სტრატეგიულ მიდგომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური კრიზისების გადაჭრას და ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე გადასვლას, რათა შევცვალოთ მონო-ინდუსტრიული განვითარების მოდელი.

ჩვენ უზრუნველვყოფთ სახელმწიფო სტრატეგიული რესურსების გამჭვირვალე, სამართლიან და მდგრად მართვას. ჩვენი გეგმა მოიცავს ჭიათურის, ზესტაფონის, ტყიბულისა და რუსთავის მონო-ინდუსტრიული საწარმოების დროებით რე-ნაციონალიზაციას და ამ საწარმოებში ევროპული ინვესტიციების მოზიდვას. დღეს, ამ საწარმოების მფლობელობისა და მართვის სტრუქტურა ბუნდოვანია, რადგან მათ დიდი ნაწილი გასხვისდა წინა ხელისუფლების დროს, ხოლო ბენეფიციარები დაფარულია ოფშორული კომპანიების მიღმა. **სახელმწიფო გამოისყიდის ამ საწარმოებს სამართლიანი კომპენსაციით და ფინანსური და მმართველობითი ტრანსფორმაციის შემდეგ, მოახდენს ჯანსაღი პრივატიზაციის პროცესს. ამ ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდება, რომ საწარმოებში ინვესტორებად შემოვიდნენ ევროპული კომპანიები, ხოლო ამ საწარმოების ნაწილის მფლობელები გახდნენ თავად ამ საწარმოებში დასაქმებულთა ჯგუფები, ქართული ემიგრაცია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ეს** მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი მაცხოვრებლების შემოსავლებს.

ჩვენ ამ ცვლილებებით უზრუნველვყოფთ სამთო წარმოების მოდერნიზაციას და ამ სექტორის გამოყენებას ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

1.8. დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის გაძლიერება

დეცენტრალიზაცია და ძლიერი თვითმმართველობა არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების აუცილებელი კომპონენტი. ჩვენს მიერ დაგეგმილი თვითმმართველობის რეფორმის მთავარი მიზანია ადგილობრივი მმართველობის როლის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში, რაც გულისხმობს მოქალაქეების უშუალო ჩართულობას მმართველობაში. **დღევანდელი**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საჭიროებს გადახედვას, რათა შეიქმნას ახალი თვითმმართველი ერთეულები გეოგრაფიული და სამეურნეო თავისებურებების გათვალისწინებით.

ფისკალური დეცენტრალიზაციის ფარგლებში, მოხდება მუნიციპალიტეტების შემოსავლების ზრდა ახალი საგადასახადო ჩარჩოსა და დელეგირებული უფლებამოსილებების, მათ შორის სახელმწიფო სერვისების მიწოდების შედეგად. **ქონების გადასახადისა და საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმის გარდა ჩვენი გეგმაა, რომ საშემოსავლო გადასახადის ნაწილი დარჩეს მუნიციპალიტეტებში,** რაც მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას გააძლიერებს. ასევე, ვგეგმავთ გავზარდოთ გათანაბრებითი და კაპიტალური ტრანსფერების ფონდები, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს მეტი ინვესტიცია განახორციელონ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

ჩვენს მიერ დაგეგმილი ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილების გაზრდას ისეთ საკითხებში, როგორიცაა წყალმომარაგება, მყარი ნარჩენების მართვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სხვ. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს საკუთარი და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას და მოქალაქეთა საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ გაზრდილ ავტონომიასა და ახალ უფლებამოსილებებთან ერთად, გაიზრდება კონტროლის მექანიზმები. კორუფციული რისკების თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნება სპეციალიზებული ანტი - კორუფციული დანაყოფები ადგილობრივ დონეზე, რომელთა მთავარი ფუნქცია მუნიციპალური საქმიანობის მონიტორინგი და კორუფციული რისკებისგან დაზღვევა იქნება. ასევე, განხორციელდება დამოუკიდებელი ანტი - კორუფციული საზედამხედველო საბჭოს შექმნა, არასამთავრობო და კერძო სექტორის მონაწილეობით, რომელიც ზემოაღნიშნული დანაყოფების საქმიანობას შეაფასებს და მის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

იხილეთ დეტალურად.

2. კეთილდღეობის სახელმწიფო და სოციალური უფლებების დაცვა - "კეთილდღეობა ყველას ქირდება"

2.1. კეთილდღეობის სახელმწიფო

"გახარია საქართველოსთვის" გუნდი მხარს ვუჭერთ საქართველოში, ევროპული ტიპის, **სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს** ჩამოყალიბებას, რომელიც აღმოფხვრის სიღარიბეს, დაიცავს საზოგადოების თითოეულ წევრს ცხოვრებისეული რისკებისგან და ხელს შეუწყობს მათი პოტენციალის სრულ რეალიზებას. მათ შორის, **ჩვენი სოციალური პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა სოციალურ დაცვას და მათ გაძლიერებას,** ახალგაზრდების მხარდაჭერას და მათ ჩართვას ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მიმართ. ჩვენ გვჯერა, რომ სოციალურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და ასაკობრივ ჯგუფებს შორის **სოლიდარობისა და ურთიერთზრუნვის ინსტიტუციური გარემო და საზოგადოებრივი ეთიკა, განამტკიცოს** სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და ჰარმონიული თანაცხოვრება.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩვენეული ხედვა ეფუძნება სოციალური პოლიტიკის 4 ძირითად მიმართულებას:

- **სოციალური დაზღვევის სისტემა,** რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან და საყოველთაო ჯანდაცვას, საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრებას და უმუშევრობისა და საწარმოო ტრავმებისა კომპენსაციას;
- **სიღარიბის აღმოფხვრაზე და ადამიანების გაძლიერებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემა;**
- **ღირსეული დასაქმება და შრომითი უფლებების დაცვა;**
- **ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება.**

ამ მიდგომების კომპლექსური რეალიზებით მიიღწევა საზოგადოებაში სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა, სადაც თითოეულ ინდივიდს ექნება წარმატების, განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზების შესაძლებლობა.

2.2. სოციალური დაზღვევის სისტემის მექანიზმების განვითარება

"გახარია საქართველოსთვის" გუნდი დავნერგავთ ახალ, სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებულ სოციალური დაზღვევის სისტემას. რომლის დანერგვისთვისაც გამოყენებული იქნება წარმატებული ევროპული მაგალითები. შეიქმნება სოციალური დაზღვევის ფონდი, რომელიც დაფინანსდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ განხორციელებული შენატანებით. პირველ ეტაპზე, აღნიშნული ფონდი უზრუნველყოფს უმუშევრობის და ჯანმრთელობის დაზიანების კომპენსაციას, ხოლო რეფორმის შემდგომ ეტაპზე უნივერსალური და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემისა და ღირსეული პენსიის დაფინანსებას.

2.2.1. დროებითი უმუშევრობისა და საწარმოო ტრავმების დაზღვევა

სოციალური დაზღვევის ფონდში **შეიქმნება დროებითი უმუშევრობის დაზღვევის მექანიზმი.** დროებით უმუშევრად დარჩენილ **პირს ექნება გარანტია, რომ ის არ დარჩება მარტო ფინანსური პრობლემების წინაშე და სამუშაოს პოვნამდე 5-6 თვის განმავლობაში მიიღებს უმუშევრობის დაზღვევის თანხას ბოლო სამსახურიდან მიღებული ყოველთვიური ხელფასის 60%-ის ოდენობით.** სოციალური გარანტიის ეს ფორმა გავრცელდება ყველა დასაქმებულზე, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში.

გარდა უმუშევრობის დაზღვევისა, სოციალური დაზღვევის ფონდიდან კომპენსაციას მიიღებენ დასაქმებულები და მათი ოჯახები სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისთვის. დასაქმებულები და მათ ოჯახები მიიღებენ სხვადასხვა სარგებელს, მათ შორის, სამედიცინო დახმარებას, მოკლევადიან ფულად კომპენსაციას დროებითი შრომისუუნარობის და პენსიას - საწარმოო ტრავმების შედეგად დამდგარი მუდმივი შრომისუნარიანობის შემთხვევებში. გარდა ამისა, სამუშაო ინციდენტის ან პროფესიული დაავადების გამო გარდაცვალების შემთხვევაში, დასაქმებულების მემკვიდრეები მიიღებენ საპენსიო სარგებელს.

2.2.2. ღირსეული პენსია

ჩვენთვის პენსია არის არა სოციალური შემწეობა, არამედ ხანდაზმულთა და საპენსიო ასაკის მოქალაქეების უფლება ღირსეულ და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე.

დღეს მოქმედი საპენსიო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას. პირიქით, ის აღრმავებს თაობებს შორის უთანასწორობასა და ხანდაზმულთა სიღარიბეს. ჩვენ შევქმნით სამართლიან და მდგრად საპენსიო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ხანდაზმულ მოქალაქეს უსაფრთხო და ღირსეული პენსიით და დაამკვიდრებს ურთიერთზრუნვის კულტურას.

ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ გავზრდით საბაზისო პენსიას, გავამყარებთ ასაკობრივი პენსიის ზრდის საკანონმდებლო გარანტიებს. ეტაპობრივად დავნერგავთ საპენსიო სისტემის ახალ სვეტს, რომელიც თაობათა შორის სოლიდარობის პრინციპს დაეფუძნება, ისე როგორც ეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშია. ამ პრინციპის მიხედვით, ახალი თაობა ზრუნავს წინა თაობაზე - დღევანდელი დასაქმებულების მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება მოქმედი პენსიონერების ღირსეული სიბერე. დღევანდელი დასაქმებულების პენსიას კი, იმ დროისთვის არსებული დასაქმებულები დააფინანსებენ. აღნიშნული სისტემა შესაძლებელს გახდის, დანერგვიდან ერთი წლის შემდეგ, პენსიაზე ახლად გასულმა თანამოქალაქეებმა, **სტაჟისა და გამოცდილების მიხედვით, სიცოცხლის ბოლომდე, ღირსეული პენსია აიღონ.**

მოქმედი პენსიონერებისთვის მოხდება საპენსიო სესხების გაცემის პროცესის მკაცრი რეგულირება, პირველ რიგში მნიშვნელოვნად დაიკლებს საპროცენტო განაკვეთები. ჩვენ უზრუნველვყოფთ **პენსიის გაცემის პროცესის სამართლიანი ტენდერის ჩატარებას და ამ პროცესში ბანკებისთვის კონკურენტული პირობებით მონაწილეობის შესაძლებლობას.** ეს გააჯანსაღებს პროცესს და ხელს შეუწყობს კონკურენციის შედეგად, საპროცენტო განაკვეთების მეტად შემცირებას.

2.3. სიღარიბის აღმოფხვრაზე და ადამიანების გაძლიერებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვა

სოციალური დახმარების არსებული სერვისები წარმოშობს მოსახლეობის დამოკიდებულებას შემწეობასა და სახელმწიფო დახმარებაზე. სანაცვლოდ, **ჩვენ შევქმნით სიღარიბის დაძლევასა და ადამიანების გაძლიერებაზე ორიენტირებულ სოციალური დაცვის სისტემას.**
ამ მიზნით:

1. სოციალური დაცვის სერვისები გახდება უფრო მოქნილი და ეფექტური;
2. განხორციელდება მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის ტრანსფორმაცია და გაუქმდება სოციალური დახმარების დანიშვნა/მოხსნის პოლიტიზებული ბერკეტები;
3. სოციალური დაცვის სერვისებში მოქალაქეების ჩართვა მოხდება მათი რეალური საჭიროებების შესწავლის საფუძველზე და არა ქულების არსებული, ფორმალური სისტემით;
4. შევამცირებთ სოციალური დაცვის სერვისების მიღების ვადებს;
5. თითოეული სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის მოხდება საარსებო შემწეობის ყოველწლიური ზრდა.

გარდა ამისა, ჩვენ დავნერგავთ ბავშვთა საყოველთაო მხარდაჭერის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვს, მიუხედავად ოჯახის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა, ექნება უსაფრთხო გარემო და წვდომა ხარისხიან და ინკლუზიურ სახელმწიფო სერვისებზე, რაც აუცილებელია ბავშვების ზრდის, განვითარებისა და მათი სრული პოტენციალის რეალიზებისთვის.

ჩვენ შემოვიღებთ დამატებით დანამატებს დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის, მარტოხელა მშობლებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ოჯახებისთვის;

დავნერგავთ **საყოველთაო უფასო სასკოლო კვების სისტემას** და უზრუნველვყოფთ ხარისხიან საგანმანათლებლო მასალებზე და ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე საყოველთაო წვდომას. ეს ზომები გამიზნულია არა მხოლოდ ბავშვების მყისიერი ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე, არამედ ბავშვთა სიღარიბის შემცირებასა და შესაძლებლობების თანასწორობაზე, რათა ქვეყნისთვის აღიზარდოს ჯანსაღი, განათლებული და თანასწორი თაობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დევნილთა და ეკომიგრანტებისათვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას. ამისთვის:

1. **ჩვენი 5 წლიანი ღირსეული საცხოვრისით სრულად დაკმაყოფილების პროგრამის ფარგლებში მოხდება დევნილთა და ეკო-მიგრანტებისათვის საცხოვრებლით დაკმაყოფილების პროცესი,** ეს განხორციელდება გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის ფარგლებში;
2. დაინერგება ნებაყოფლობითი სისტემა საცხოვრებლით დაკმაყოფილებისთვის შეღავათიანი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფისთვის;
3. **კომპაქტურ ჩასახლებებში განხორციელდება ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების სპეციალური პროგრამები,** მათ შორის, არსებული სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების გამოყენებით;
4. **სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში სრული ინტეგრაციისთვის, დევნილები და ეკო-მიგრანტები უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო წყაროებით, დასაქმების შესაძლებლობებით, სამეურნეო თუ ბიზნეს-საქმიანობის ხელშეწყობით და ახალი წამოწყებების წახალისებით.**

შეზღუდული შესაძლებლობის პირების მხარდაჭერა იქნება ჩვენი გუნდის განსაკუთრებული პრიორიტეტი. ამისთვის:

1. შშმ პირების საზოგადოებაში ინკლუზიურად ჩართვის მიზნით შემუშავდება შშმ პირების ხელშეწყობის სტრატეგია, რომელიც ერთის მხრივ ორიენტირებული იქნება ამ პირთა ეკონომიკურ აქტივობაში სრულფასოვნად ჩართულობის ზრდაზე, ხოლო მეორეს მხრივ, მათთვის თანამედროვე სოციალური მხარდაჭერის შექმნაზე.
2. პრიორიტეტი მიენიჭება შშმ პირთა უფლებების კონვენციის სრულფასოვან შესრულებასა და უწყებათაშორის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი მექანიზმის შექმნას, რომლიც ორიენტირებული იქნება თემზე ფოკუსირებასა და მათთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე.
3. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები დაეფუძნება შშმ პირთა ფართო ჩართულობას. დაინერგება შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების სოციალური მოდელი, წახალისდება შშმ პირთა დასაქმება ადაპტირებულ სამუშაო გარემოში.
4. შეიქმნება საინფორმაციო მხარდაჭერის პლატფორმა შშმ ბავშვების მშობლებისთვის.
5. განხორციელდება დღის ცენტრების პროგრამის სტანდარტების გადახედვა და ცვლილება, ის გახდება მეტად მორგებული ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებული.
6. შშმ პირთა ხელშეწყობისთვის განხორციელდება სახელმწიფო პანსიონატების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ამავდროულად შშმ პირთა ახალი სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულება იქნება მცირე საოჯახო საცხოვრისთა ეკოსისტემის გაძლიერება.

უფლება საცხოვრისზე და ამ პრობლემის დარეგულირება ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

დღეს, ქვეყანაში, უსახლკარობის, არასათანადო საცხოვრებლისა და გამოსახლებების კრიზისია. სახელმწიფოს კი არ გააჩნია პრობლემის გადაჭრის არანაირი ხედვა. **ჩვენი გუნდი შეიმუშავებს უსახლკაროობასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიას, რომელიც დაეფუძნება საქართველოს კონსტიტუციით გამყარებულ უფლებას საცხოვრისზე, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას.** ჩვენ შევისწავლით უსახლკარობის გამომწვევ სტრუქტურულ მიზეზებს და შევიმუშავებთ პრობლემების გადაჭრის სისტემურ მიდგომებს.

ჩვენ დავნერგავთ უსახლკარობის პრევენციის ეფექტურ სისტემებს და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მხარდაჭერისა და გაძლიერების საყოველთაო სერვისებს. უზრუნველვყოფთ ისეთი საბინაო ფონდის შექმნის შესაძლებლობებს, რომელიც სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომით ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფს ჩვენ მოქალაქეებს.

იხილეთ დეტალურად.

2.4. ხარისხიანი და საყოველთაო ჯანდაცვა

"გახარია საქართველოსთვის" გუნდი მივიჩნევთ, რომ ჯანმრთელობის უფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემამ, ჩვენი გუნდის აქტიური ჩართულობით ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. გაიზარდა სერვისებზე ხელმისაწვდომობა და შემცირდა მოსახლეობის „ჯიბიდან" დანახარჯები. თუმცა სისტემა, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. რეალურად, ჯანდაცვის სისტემამ დაკარგა ჩვენი მთავარი მონაპოვარი - **საყოველთაობა და ეტაპობრივად იკარგება მისი ხელმისაწვდომობაც.**

ჩვენი ჯანდაცვის პოლიტიკის მიდგომა მოიაზრებს საზოგადოებრივ სოლიდარობაზე დაფუძნებული მოდელის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი ხარისხიანი საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შექმნას.

აღნიშნულის მისაღწევად ჩვენ ვიმუშავებთ შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

1. **პირველადი ჯანდაცვის სექტორის, როგორც სისტემის საფუძველის როლის გაძლიერება და ხარისხის გაუმჯობესება,** რაც მნიშვნელოვანად განაპირობებს როგორც ჯანდაცვის სისტემის ხარისხისა და ეფექტურობას, ასევე ფინანსური რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაციას;
2. შევიმუშავებთ და დავნერგავთ **მოზარდთა ჯანმრთელობის პოლოტიკის სტრატეგიასა** და სახელმძღვანელო პრინციპებს.
3. სამედიცინო სერვისების მიწოდების გაძლიერება **სტრატეგიული სახელმწიფო ჯანდაცვის ობიექტების გაძლიერებით;**
4. სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაძლიერება;
5. სამედიცინო სერვისების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და მომსახურების ხარისხისა და ღირებულების დადგენა საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიით (DRG), იმისათვის, რომ დარგს მიეცეს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, ხოლო პაციენტებისთვის მომსახურების ფასები იყოს პროგნოზირებადი;
6. **ჯანდაცვის სექტორში ადამიანური რესურსების განვითარება,** პროფესიული კვალიფიკაციის გაძლიერების ხელშეწყობა და ჯანდაცვის სისტემაში ექთნების კომპეტენციების აღიარებისა და როლის გაზრდა; იდენტიფიცირებული დეფიციტური პროფესიებისთვის (ოჯახის ექიმი, სოფლის ექიმი და სხვ.) პროფესიაში მოზიდვის მიზნით წახალისების მექანიზმების დანერგვა;
7. მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალი ხარისხისა და უსაფრთხო მედიკამენტებით. ეს მიღწეული იქნება როგორც ხარისხის კონტროლით, ისე მედიკამენტებზე ფასწარმოქმნის სისტემის გაუმჯობესებით, მონოპოლიებისა და „კარტელური" შეთანხმებების წინააააღმდეგ ბრძოლით;
8. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების მართვის გაძლიერების, შესაბამისი ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების, საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის, რისკების შეფასებისა და კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების დანერგვის გზით;

9. **ჯანდაცვის სექტორის მმართველობის გაძლიერება,** მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიაგნოსტიკის პოლიტიკის განვითარებით, სახელმწიფო სტრუქტურებში სტრატეგიული დაგეგმვისა და ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერებით, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფით, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევების გაძლიერებითა, და საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერებით.

სამართლიანი და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, ჩვენ აუცილებლად მივიჩნევთ ჯანდაცვის სისტემის ეტაპობრივ გადაყვანას ჯანდაცვის სავალდებულო საყოველთაო დაზღვევის მოდელზე, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო და სადაზღვევო ინფრასტუქტურის მომზადება, ეფექტური და გამჭვირვალე მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბებით.

იმავდროულად, სექტორის მზარდი დანახარჯების შესავსებად, თამბაქოს, ალკოჰოლსა და სატრანსპორტო საშუალებების იმპორტზე არსებული სააქციზო მოსაკრებლებიდან შემოსული თანხები წარიმართება ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებაზე.

ჯანდაცვის ობიექტების ინფრასტრუქტურის გაძლიერებისთვის ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს, რაც გულისხმობს ჯანდაცვის სექტორის მოწყობის ევროპული გამოცდილების დანერგვას. ეს ნიშნავს ამ სექტორში სახელმწიფო სამედიცინო რესურსების გაძლიერებას და გაფართოებას. ჯანდაცვის სექტორში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და არაკეთილსინდისიერი კომერციული ინტერესებისგან მოსახლეობის დასაცავად, სახელმწიფო განახორციელებს ხარისხიანი, ხელმისაწვდომი სერვისების არაკომერციული ინტერესებით მიწოდებას, რაც გააჯანსაღებს კონკურენტულ გარემოს და შეამცირებს ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების ზრდის ტენდენციას. ამ მიზნით გავაგრძელებთ **საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის გაძლიერებას, რომელშიც დღეისათვის უკვე გაერთიანებულია 26 კლინიკა,** და ის ჩამოყალიბდება, როგორც მაღალტექნოლოგიური და მულტიპროფილური სამედიცინო ქსელი. ამისათვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურული განვითარების პროგრამების ფარგლებში, განხორციელდება ჰოლდინგში შემავალი ჰოსპიტალებისა და ამბულატორიული ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი და სრული მოდერნიზება. მათ შორის, **რესპუბლიკური საავადმყოფოს როგორც ფლაგმანი რეგიონალური სამედიცინო ცენტრის განვითარება.** ჰოლდინგში შემავალი დაწესებულებები აღჭურვილი უნდა იყოს, თანამედროვე ტექნოლოგიებით და უზრუნველყოფილი იქნან მაღალი დონის საერთაშორისო პროფესიონალებით. ქსელმა უნდა უზრუნველყოს, ყველა იმ სამედიცინო სერვისის უმაღლეს დონეზე მიწოდება, რომელთა მისაღებადაც, ჩვენს თანამოქალაქეებს ხშირ შემთხვევაში ქვეყნის გარეთ უწევთ გამგზავრება.

იხილეთ დეტალურად.

2.5. ღირსეული დასაქმება და შრომითი უფლებების დაცვა;

შრომითი უფლებების დაცვა აუცილებელია დემოკრატიული, თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. შრომითი უფლებები უზრუნველყოფს, რომ მშრომელებს ჰქონდეთ სამართლიანი ხელფასები, უსაფრთხო სამუშაო პირობები და ორგანიზების შესაძლებლობები საკუთარი ინტერესების დასაცავად. ამ უფლებების დაცვით, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოებების კეთილდღეობაში, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას და საზოგადოების ერთიანობას. მეტიც, შრომითი უფლებების დაცვა არის ადამიანის ღირსების და პატივისცემის ფუნდამენტური ასპექტი. შრომითი უფლებების დაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მზარდი გლობალიზაციის პირობებში, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანების ექსპლუატაცია და უზრუნველვყოთ მდგრადი და ინკლუზიური განვითარება.

დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით ჩვენ განვახორციელებთ სხვა და სხვა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმას, მათ შორის:

1. გაძლიერდება შრომის ინსპექციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური შესაძლებლობები;
2. შრომით კანონმდებლობაში შეიქმნება ე.წ. პლატფორმით (საკურიერო, ტაქსის და სხვ აპლიკაციები) და დისტანციურად დასაქმებულთა შრომითი უფლებების სტანდარტები და მათი დაცვის სპეციალიზებული მექანიზმები;
3. **კანონმდებლობით დაწესდება ადეკვატური მინიმალური ხელფასი საათში 5 ლარის ოდენობით, რაც საშუალოდ თვეში 950 ლარს შეადგენს.**
4. **გადავდგამთ პრაქტიკულ ნაბიჯებს კაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის;**
5. შრომითი უსაფრთხოების სფეროში გაძლიერდება მუშაობა საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვის **მიმართულებით.** პრიორიტეტული იქნება შრომის უსაფრთხოების კუთხით მიღებული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება და შრომის ინსპექციის მანდატის გაძლიერება განსაკუთრებით მომატებული საფრთხეებისა და კერძო სექტორის მიერ შრომითი უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის კონტროლის მიმართულებით.
6. **გათანაბრდება მშობლის მეირ,** ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო **შვებულებით სარგებლობისას საჯარო სამსახურის შესახებ კანონითა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები.** პირველ ეტაპზე, კერძო სექტორში დასაქმებული მშობლის შემთხვევაში, ე.წ. დეკრეტული შვებულებით სარგებლობისას, **ერთჯერად 2000 ლარიან კომპენსაციასთან ერთად, სახელმწიფო მოახდენს დასაქმებულისთვის მინიმალური ხელფასის 950 ლარის კომპენსაციას 6 თვის განმავლობაში.** ხოლო რეფორმის შემდგომ ეტაპზე, სახელმწიფო-კერძო სექტორთან ერთად მოახდენს დასაქმებულის მინიმალური ხელფასით კომპენსაციას კანონით გათვალისწინებული შვებულების 1 წლამდე პერიოდის განმავლობაში, იგივე შეეხება ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევებს, ასევე სოციალური გარანიტიების ეს სტანდარტი გავრცელდება ორივე მშობელზე.
7. **განხორციელდება ზეგანაკვეთური შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების საკანონმდებლო გარანტიების გაუმჯობესება და მოხდება ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების ნორმის დიფერენცირებული ზრდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.** ზეგანაკვეთური შრომისთვის, დასაქმებული აიღებს საათობრივი ანაზღაურების მინიმუმ 125%-დან 250% - მდე. ეკონომიკურ საქმიანობათა შესაბამისი ჩამონათვალი განისაზღვრება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ.
8. შრომითი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა **არაფორმალური სექტორის შემცირებაა.** საქართველოში არაფორმალური დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ხელს უშლის შრომითი უფლებების სრულფასოვან დაცვას და სოციალურ გარანტიებზე ხელმისაწვდომობას. **ჩვენ ამ პრობლემას გადავჭრით მიზანმიმართული ღონისძიებებით,** როგორიცაა ფინანსური სექტორის რეგულაციების გაძლიერება, რომელიც ფორმალურ საქმიანობას წაახალისებს, ასევე ბიზნესის შიდა ოპერაციების დიგიტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს ტრანზაქციების გამჭვირვალობას და ამცირებს ბიუროკრატიულ ხარჯებს.

2.6. ხარისხიანი და საყოველთაო განათლება

განათლება ფუნდამენტურ საფუძვლებს ქმნის ქვეყნის, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის განვითარებისათვის. ის შესაძლებლობას აძლევს ადამიანს ჩამოყალიბდეს **თავისუფალ** და **დამოუკიდებელ** მოქალაქედ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს როგორც პირადი, ასევე საზოგადოებრივი სიკეთისა და კეთილდღეობის შექმნაში. საყოველთაო და ხარისხიანი განათლების მეშვეობით, შესაძლებელია **უთანასწორობის შემცირება, საზოგადოებრივი სოლიდარობისა და**

ერთობის დამკვიდრება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

"გახარია საქართველოსთვის" გუნდის მიზანია ისეთი **საგანმანათლებლო მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან და ინკლუზიურ განათლებას ყველასათვის, რომელიც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითობის განვითარებას, სამოქალაქო ცნობიერების და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფს აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ ზრდას და ცხოვრების მანძილზე სწავლისა და გადამზადების შესაძლებლობას.**

განათლების ხელმისაწვდომობა არის ფუნდამენტური საკითხი, სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად, სისტემამ უნდა უზრუნველყოს საყოველთაო ხელმისაწვდომობა განურჩევლად სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობისა, მოამზადოს თითოეული მოქალაქე აქტიური სამოქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, უზრუნველყოს მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისობა თანამედროვე შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებსა და საჭიროებებთან. განათლების უნივერსალური ხელმისაწვდომობა მიიღწევა სოლიდარული სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს ფარგლებში, ეფექტური რაციონალური მართველობით, ადამიანურ რესურსებში მეტი ინვესტირებით და განათლების დივერსიფიცირებული შესაძლებლობების შექმნით.

განათლების სისტემის რეფორმის ჩვენი მიდგომა გულისხმობს მის ინტეგრირებას ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან. ის მოიაზრებს კვალიფიციური მაღალკონკურენტული კადრების მომზადებას, შრომის ბაზრის არსებული და სამომავლო ტენდენციების და გამოწვევების გათვალისწინებით.

ჩვენი პარტიის ხედვა განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით არის ყოვლისმომცველი და მოიცავს განათლების ყველა სექტორს, მათ შორის სკოლამდელ, დაწყებით, ზოგად, პროფესიულ, უმაღლეს საფეხურებს. ასევე, ხედვა მოიცავს მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევითი პროცესის განვითარებას, რაც სისტემის მდგრადობისა და გრძელვადიანი განვითარების საწინდარია.

ჩვენი ხედვა ეფუძნება ხარისხიანი განათლების, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და განათლების ხელმისაწვდომობის 3 ძირითად სვეტს:

2.6.1. ხარისხიანი განათლება:

- განათლების ყველა საფეხურზე კვალიფიციური სასწავლო და სამეცნიერო კადრების მოზიდვა, მათი მომზადება და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, და მათვის ღირსეული და მიმზიდველი შრომის პირობების უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების სისტემის (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) დახვეწა, და მათი დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ განხორციელების უზრუნველყოფა;
- სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალების ხარისხის გაუმჯობესება;
- განათლების სისტემის მართვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა, დეცენტრალიზაციისა და ავტონომიურობის გაძლიერება და სისტემის გამჭვირვალობა;
- პედაგოგების და სასწავლო დაწესებულებების პერსონალის ხელფასების ზრდის სამართლიანი და პროგნოზირებადი მოდელის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს, მათ დატვირთვას,

ნამუშევარი წლებსა და დამსახურებებს. ზრდა უნდა განხორციელდეს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;
- პედაგოგების განთავისუფლება სხვა დამატებითი არასაჭირო ფუნქციებისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული მათ უშუალო პედაგოგიურ აღმზრდელობით საქმიანობასთან.

განათლების სისტემაში აკადემიური და სამეცნიერო კადრების მოზიდვა და მხარდაჭერაა როგორც გრძელვადიანი საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების წინაპირობა;

2.6.2. განათლების ინფრასტრუქტურა და ინკლუზიური გარემო:

- განათლების ინფრასტრუქტურის მოდერნიზებასა და მათ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო და სამეცნიერო მატერიალურ ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;
- სასწავლო ინფრასტრუქტურის ადაპტირება ინკლუზიური სასწავლო გარემოსთან;
- ადგილობრივი და ცენტრალურ ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია, კერძო-საჯარო პარტნიორობა და საერთაშორისო დონორ და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით.

განათლების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია უნდა იქცეს სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამად.

2.6.3. განათლების ხელმისაწვდომობა და მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფა:

- რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაცია და ეფექტიანი გამოყენება;
- განათლებისა და ეკონომიკის მჭიდროდ დაკავშირება, ინოვაციური, მაღალ ტექნოლოგიური ინდუსტრიული სექტორის განვითარების ხელშეწყობა;
- განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტის ზრდა და შესაძლებლობების დივერსიფიცირება;
- საგანმანათლებლო, მომზადებისა და გადამზადების შესაძლებლობების დივერსიფიცირება;

იხილეთ დეტალურად.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები - "სამართლიანი წესრიგი საქართველოსთვის"

1. დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფა

„გახარია საქართველოსთვის" გუნდის მიზანია ძლიერი, დამოუკიდებელი ინსტიტუტების მშენებლობა, რომლებიც იმუშავებს მოქალაქეებისთვის და სახელმწიფოში სამართლიანი წესრიგის უზრუნველსაყოფად. ჩვენ შევქმნით სისტემას, სადაც არსებობს ურთიერთკონტროლი და ძალთა ბალანსი, სადაც კანონი ყველასთვის კანონობს და უკანონობისთვის ყველა თანაბრად აგებს პასუხს.

ჩვენს გუნდს აქვს მკაფიო ხედვა როგორ უნდა დასრულდეს ქვეყანაში „ქართული ოცნების" ერთპარტიული მმართველობა და საქართველო ჩამოყალიბდეს ევროპულ დემოკრატიად, სადაც ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობა გრძელვადიანად იქნება გარანტირებული და არ იქნება დამოკიდებული ხელისუფლებების ცვლილებაზე. აღნიშნულის მიღწევის მთავარი მამოძრავებელია პოლიტიკური კომპრომისით გადაწყვეტილებების მიღება და მაღალი თანამდებობის პირების თანამდებობაზე არჩევა-დანიშვნისთვის საჭირო პოლიტიკური მხარდაჭერის სტანდარტის გაზრდაა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან პოზიციებზე (გენერალური პროკურორი, სუს-ის უფროსი, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი, სახალხო დამცველი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი) კანდიდატები აირჩევიან პოლიტიკურ პარტიებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე. ამასთან, ინსტიტუციური მდგრადობის და გრძელვადიანი დემოკრატიის უზრუნველსაყოფად, დავაინიცირებთ წინადადებას ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებების პოლიტიკური მხარდაჭერის სტანდარტის გაზრდასთან დაკავშირებით.

ჩვენ ჯანსაღი მმართველობის სისტემით დავასრულებთ საშიშ, უკონტროლო, ერთპიროვნული ძალაუფლების 20 წელს და არამხოლოდ აწმყოში, მომავალშიც გამოირიცხება არაფორმალურ მმართველობას. ეს მიიღწევა იმით, რომ არჩევნებს ვაქცევთ მშვიდობიანი, დემოკრატიული პოლიტიკური ცვლილების რეალურ ბერკეტად ცესკოს შემადგენლობის პოლიტიკური კონსენსუსით არჩევის და გადაწყვეტილების პოლიტიკური კონსენსუსით მიღების გზით.

იხილეთ დეტალურად.

2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

დღევანდელი „ოცნების“ მმართველობის პირობებში პოლიტიკური/ელიტური კორუფცია ძალაუფლების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ეკონომიკური ზრდით მიღებული დოვლათი მხოლოდ ხელისუფლებასა და მათთან დაახლოვებულ ოჯახზე ნაწილდება და ამით ვერ სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები, იზრდება უთანასწორობა და უსამართლობა. ხელისუფლება კორუფციისთვის იბრძვის და არა - კორუფციის წინააღმდეგ. „გახარია - საქართველოსთვის“ გუნდისთვის კორუფცია სახელმწიფოს ღალატია, რაც ყველაზე მძიმედ ხელყოფს ადამიანის უფლებებს და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. ჩვენთვის აქ კომპრომისები არ იქნება!

ხელისუფლების სათავეში ყოფნის მოკლე დროში, ჩვენ მოვახერხეთ კორუფციული რისკების დაზღვევა ქვეყნისთვის კრიტიკულ პერიოდში - „კოვიდ 19“ პანდემიის დროს. **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პრიორიტეტში ასაყვანად, ანტი-კორუფციული უწყებათშორისი საბჭო იუსტიციის სამინისტროდან გადმოვიდა მთავრობის ადმინისტრაციაში, დავიწყეთ აქტიური მუშაობა სუსი-დან და პროკურატურიდან კორუფციის გამოძიების ფუნქციის გამოსატანად და რეალურად დამოუკიდებელი ანტი-კორუფციული საგამოძიებო სამსახურის შესაქმნელად.**

ჩვენი სამთავრობო პროგრამა უმნიშვნელოვანეს მიმართულებად სწორედ კორუფციის წინააღმდეგ სისტემურ ბრძოლას ითვალისწინებდა, კორუფციასთან ბრძოლა, რჩება ჩვენი საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. კორუფციის წინააღმდეგ ჩვენი მმართველობის პერიოდში დაწყებულ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ. ხელისუფლებაში აღარ იქნება კორუმპირებული ჩინოვნიკების ადგილი. **დავასრულებთ ხალხის ხარჯზე, უკანონოდ გამდიდრებული რამდენიმე ადამიანის, ელიტური ჯგუფების და მათი ოჯახების, რეგიონული ფეოდალების კორუფციულ მმართველობას. კორუფციისგან გათავისუფლდება ყველა სფერო - მუნიციპალიტეტები, სამინისტროები, სასამართლო.**

იხილეთ დეტალურად.

3. პროფესიული, დეპოლიტიზირებული საჯარო სამსახურის უზრუნველყოფა

სამწუხაროდ, „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში გატარებული საჯარო სამსახურის რეფორმა არ აღმოჩნდა საკმარისი საჯარო **სამსახურის რეალური დეპოლიტიზირებისთვის და პოლიტიკური გავლენებისგან საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლებისთვის.** დღეს, საჯარო მოხელეებზე, რომლებზეც დგას სახელმწიფო და რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ევროინტეგრაციაში, ხელისუფლება წნეხს ახორციელებს. „ოცნება“ წარმატებით აგრძელებს საჯარო სამსახურის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების და მოხელეებზე ზეწოლის წინა ხელისუფლების მავნე პრაქტიკას. ნეპოტიზმი და ფავორიტიზმი „ოცნების“ დღევანდელი მმართველობის განუყოფელი ნაწილია.

ჩვენთვის, საჯარო სამსახური სახელმწიფოს საყრდენია და არა - პოლიტიკური ინსტრუმენტი პარტიისთვის. ასეთი იყო ჩვენი მიდგომა ადრეც და ასეთი იქნება მომავალშიც. ჩვენი მმართველობის პირობებში მოხელეებს შევუქმნით სტაბილურობის გარანტიებს და სამართლიან, ნეპოტიზმისგან და ფავორიტიზმისგან თავისუფალ გარემოს.

საჯარო სამსახური გახდება პროფესიული, დეპოლიტიზირებული - არ იქნება ხელისუფლების ცვლილების დროს შურისძიება, წმენდა და დევნა პოლიტიკური ნიშნით. ამ მიზნით, დავნერგავთ შეფასების ერთიან სისტემას და შევქმნით დამოუკიდებელი მექანიზმს (კომისიას), რომელიც საჯარო მოხელეთა დანიშვნის, გათავისუფლების, დაწინაურების, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს განიხილავს.

[იხილეთ დეტალურად.]

4. დამოუკიდებელი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა უნდა მოიცავდეს ამ სისტემის ყველა რგოლის კომპლექსურ რეფორმას, რაც ერთდროულად უნდა განხორციელდეს, ვინაიდან **ვაცნობიერებთ, რომ დღეს არსებული გამოწვევების მთავარი მიზეზი წლების განმავლობაში ამ სფეროში რეფორმების ფრაგმენტულობაა.** შესაბამისად, რეფორმა მოიცავს არამხოლოდ სასამართლოს, არამედ პროკურატურას, პოლიციას, საგამოძიებო უწყებებს, სისხლის სამართლის პოლიტიკას და საგამოძიებო ორგანოების და პროკურატურის საქმიანობაზე ქმედით საპარლამენტო კონტროლს.

ჩვენთვის მთავარი პრინციპია სამართლიანი წესრიგი - არა ყველანი ციხეში ან ყველანი გარეთ („ნაცმოძრაობის“ და „ოცნების“ ხელწერა), არამედ ანალიზზე, ადამიანის უფლებებსა და კრიმინოგენულ მდგომარეობაზე დაფუძნებული სამართლიანი მიდგომა. შევქმნით სისტემას, სადაც კანონი კანონობს ყველასთვის - არ არსებობენ ე.წ. პრივილეგირებულები, რომლებიც პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევას ახერხებენ ან დაუმსახურებელი შეღავათებით სარგებლობენ.

დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნის გზაზე ჩვენთვის ბარიერები და პოლიტიკური კომპრომისები არ არსებობს. სასამართლოს გავათავისუფლებთ გავლენის ჯგუფისგან საკონსტიტუციო რეფორმითა და სასამართლოში კორუფციის აღმოფხვრის გზით, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების და სასამართლოს თავმჯდომარეების კეთილსინდისიერების შემოწმების და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიერ კორუფციის ფაქტების გამოძიების გზით.

ჩინჩალაძე და მურუსიძე სისტემიდან წავლენ. პრივილეგიებს ჩამოვართმევთ სასამართლოს ელიტურ დაჯგუფებას. ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით უზრუნველვყოფთ ყველა აქტორს შორის კონსენსუსის მიღწევას, რომ მანკიერი სისტემა გამოსაცვლელია (failed system). ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნდამენტური

რეფორმა - შევცვლით წევრების ნომინირების წესს და საბჭოს შემადგენლობას რათა თავიდან იქნეს აცილებული საბჭოს დაკომპლექტება ამა თუ იმ პარტიისადმი ლოიალური წევრებით; დავნერგავთ საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებას ე.წ. ორმაგი 2/3-ის წესით; დამოუკიდებელ ინსპექტორს გავათავისუფლებთ საბჭოს გავლენისგან და მივანიჭებთ რეალურ დამოუკიდებლობას.

პროცესი იქნება მტკივნეული, მაგრამ ქვეყანამ ეს ფურცელი უნდა გადაშალოს და დაიწყოს სუფთა ფურცლიდან. დავიცავთ ყველა დამოუკიდებელ და კეთილსინდისიერ მოსამართლეს, რომელიც სისტემაში მრავლადაა. წინ წამოვწევთ და მათ ვანდობთ მართლმსაჯულებას. ჩვენს სამართლებრივ სისტემას აქვს კვალიფიციური ადამიანური რესურსი და არ საჭიროებს უცხოელ მოსამართლეებს.

ჩვენი მიზანია შევქმნათ სისტემა, რომელიც ერთდროულად ებრძვის დანაშაულს და ზრუნავს ადამიანებზე, იცავს მოქალაქეთა უფლებებს. ჩვენი სისტემა უზრუნველყოფს დაზარალებულების, მოწმეების, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ადამიანების დაცვას. განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება არასრულწლოვნებზე ზრუნვა.

ჩვენ ვიქნებით მკაცრი მძიმე ძალადობრივ და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე. შეურიგებელი იქნება ჩვენი ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან - „ქურდულ სამყაროსთან“ და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან; კორუფციასთან; ბავშვთა მიმართ ძალადობასთან (მათ შორის სექსუალურ ძალადობასთან). **ორგანიზებული დანაშაული ვეღარასოდეს გახდება ძალაუფლების და ხელისუფლების გამდიდრების წყარო.**

შევინარჩუნებთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მიღწევებს და წავალთ კიდევ უფრო წინ - **არასრულწლოვნებს დანაშაულის ჩადენისგან და საზოგადოებას არასრულწლოვანთა დანაშაულისგან დავიცავთ ადრეული პრევენციის სისტემის რეფორმით.**

იხილეთ დეტალურად.

5. შედეგზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკა

ჩვენ ეტაპობრივად შევცვლით ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მოძველებულ, არაეფექტიან მეთოდებს და წლების განმავლობაში არსებული დასჯის პოლიტიკიდან გადავალთ პრევენციის, მომხმარებელთა რეაბილიტაციისა და გამავრცელებელთა დასჯის ეფექტიან და სამართლიან პოლიტიკაზე.

სახელმწიფო ორიენტირებული იქნება მომხმარებელთა (წამალდამოკიდებულთა) და მათი ოჯახების მხარდაჭერა-რეაბილიტაციაზე (პირველ რიგში, სარეაბილიტაციო ცენტრების მშენებლობით და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გაძლიერებით).

სისტემურად გადაიხედება ჩანაცვლებითი თერაპიის/ე.წ. მეტადონის პროგრამის ადმინისტრირების ეფექტიანობა. აღმოიფხვრება კორუფცია ადმინისტრირების პროცესში.

ნარკოტიკების გამსაღებლებს დავსჯით მკაცრად, ხოლო შეძენა-შენახვაზე მოვახდენთ სასჯელების დიფერენცირებას ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების და სახეობების მიხედვით. მკაცრი იქნება ჩვენი მიდგომა ორგანიზებულ ნარკოდანაშაულთან.

სახელმწიფო დღეს სათანადოდ ვერ პასუხობს ნარკოტიკების გავრცელების სრულიად ახალ მეთოდებს, რომელთა გამოყენებამ გასაკუთრებით გაზარდა ნარკოტიკების გავრცელებაში ახალგაზრდების ჩართულობა. **გავზრდით სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობებს ნარკოტიკების ბრუნვის ეფექტიანად გამოსავლენად. შევქმნით ახალგაზრდებში ნარკოტიკების გავრცელების პრევენციის ეფექტიან სისტემას.**

6. თანასწორობის და ძალადობისგან დაცვის პოლიტიკა

„გახარია - საქართველოსთვის“ გუნდისთვის ადამიანის უფლებების დასაცავად ბრძოლა არასოდეს იდგა განცალკევებით სახელმწიფო მმართველობის სისტემისგან და ასე იქნება მომავალშიც - **ადამიანის უფლებების დაცვა იქნება სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრინციპი, რომლის გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში.** პრიორიტეტი იქნება არამხოლოდ სამოქალაქო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა.

ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას ბავშვების, ქალების და ხანდაზმულების ძალადობისგან (მათ შორის, სექსუალური ძალადობისგან) დასაცავად. ჩვენმა გუნდმა სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა - მივიღეთ ახალი კანონმდებლობა, გავამკაცრეთ სასჯელი, დავადგინეთ უფლებების შეზღუდვა მოძალადეებისთვის, შევქმენით მოძალადეების ბაზა. **ჩვენ მივიყვანთ საქმეს ბოლომდე და შევქმნით ყველა სახის ძალადობისგან ბავშვების დაცვის ქმედით სისტემას - ბავშვების დაცვა ძალადობისგან (მათ შორის სექსუალური და ონლაინ ძალადობისგან), ბავშვთა პორნოგრაფიის და პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი.**

ჩვენ გავაგრძელებთ გენდერული ძალადობის, „ფემიციდის“ წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. პირველ რიგში, დავიბრუნებთ წამყვან პოზიციებს - რეაგირების მაღალ ხარისხს, ქალთა მიმართ ძალადობის დაბალ მაჩვენებელს და „ფემიციდის“ შემცირებულ შემთხვევებს. შემდგომ ეტაპზე ჩვენ დავნერგავთ ბავშვთა მიმართ ძალადობის, გენდერული ძალადობის, „ფემიციდის“ წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მექანიზმებს, რომელიც პასუხისმგებელ უწყებებს შორის ქმედით კოორდინაციას უზრუნველყოფს - შევცვლით არასწორ მიდგომას, რომლის თანახმად, ამ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ საგამოძიებო ორგანოების და პროკურატურის საქმეა. ძალადობის პრევენციის პროცესში აქტიურად ჩავრთავთ განათლების სამინისტროს, სოციალურ სამსახურს და სხვა პასუხისმგებელ უწყებებს. მოვაგვარებთ წლების განმავლობაში არსებულ პრობლემას და გავზრდით სოციალური მუშაკების რაოდენობას და ანაზღაურებას.

ხელს შევუწყობთ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტებში მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეს არ დარჩეს დაპირებად. ამიტომ, უკვე ვმუშაობთ, რომ პარტია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით იყოს წარმოდგენილი. შევქმნით მათი დასაქმების და პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარ პირობებს.

ჩვენთვის ყოველთვის პრიორიტეტი იყო და მომავალშიც გავაგრძელებთ ბრძოლას ყველას სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

იხილეთ დეტალურად.

საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პრიორიტეტები - “უსაფრთხოება ყველას სჭირდება”

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პრიორიტეტები გამომდინარეობს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან და ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას გულისხმობს, სადაც უზრუნველყოფილია ქვეყნის სუვერენული, მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარება.

ევროპულ ოჯახში გაწევრიანება საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, **ცივილიზაციური არჩევანია, რომელიც საერთო ღირებულებებს ეფუძნება,** როგორიცაა თავისუფლება, სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მშვიდობა, უსაფრთხოება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და კეთილდღეობა.

ჩვენი მიზანია, რომ ეროვნული ინტერესების მშვიდობიანად უზრუნველყოფისთვის ვაწარმოოთ პრაგმატული პოლიტიკა ყველასთან, მათ შორის, რუსეთთან. დღეს, საქართველოს ხელისუფლებამ პრაგმატული პოლიტიკის ნაცვლად, დაუშვა მძიმე შეცდომა, როდესაც საქართველო დასავლეთთან დააპირისპირა **ეს შეცდომა ჩვენი გამოსასწორებელია. დღეს, გლობალური თუ რეგიონალური უსაფრთხოების გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მხრიდან სოლიდარობის პრინციპზე დაყრდნობით. რაც ნიშნავს, რომ რეგიონული, ისე როგორც გლობალური გრძელვადიანი მშვიდობა, მხოლოდ ცივილიზებული ქვეყნების ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი.**

1. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

"გახარია საქართველოსთვის" გუნდი მოახდენს საზოგადოების და პოლიტიკური სპექტრის მობილიზებას, რათა სრულფასოვნად იქნას რეალიზებული წარმოქმნილი შესაძლებლობა და მაქსიმალურად სწრაფ ვადებში მოხდეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება.

ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ, რომ სრულფასოვან წევრობამდე, საქართველომ ისარგებლოს ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის შესაძლებლობებით, როგორიცაა ერთიან ევროპულ ბაზარზე დაშვება, ევროპის ენერგოკავშირთან და ციფრულ კავშირთან მიერთება და სხვ.

ევროკავშირის წევრობა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის ანალოგიურ შესაძლებლობებს მიცემს, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და მშვიდობიანი რეინტეგრაციის საუკეთესო გზაა.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ერთმანეთის თანმდევი პროცესია. ევროკავშირის პარალელურად, გავააქტიურებთ ძალისხმევას საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად, რაც შეუძლებელია ქართული ოცნების პირობებში.

აუცილებელია აღვადგინოთ საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნის და საიმედო პარტნიორის სტატუსი. ამასთან, ჩვენი ამოცანაა, ალიანსში გაწევრიანება შევძლოთ "გაწევრიანების სამოქმედო გეგმის" (MAP) გარეშე, როგორც ეს ფინეთის და შვედეთის შემთხვევაში მოხდა.

იხილეთ დეტალურად.

2. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

ჩვენ დავასრულებთ ქართული ოცნების მავნებლურ პოლიტიკას და აღვადგენთ დასავლელ პარტნიორებთან ნდობასა და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიულ თანამშრომლობას.

ასევე, გავააქტიურებთ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა მშვიდობიანი დეოკუპაცია და რეინტეგრაცია, დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა.

იხილეთ დეტალურად.

3. ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება

საქართველოს ეროვნული ინტერესების წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე სათანადო რეაგირების მიზნით, **აუცილებელია ეფექტიანი, თანამედროვე და დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა.**

ჩვენი ძალისხმევა მიმართული იქნება თანამედროვე, ნატოსთან თავსებადი, მაღალტექნოლოგიური და მობილური თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებისკენ. ეფექტური თავდაცვის სისტემის აუცილებელი წინაპირობაა სტაბილური, მრავალწლიანი დაგეგმვის მქონე და თავდაცვის საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტი. **ამ მიზნით, ვგეგმავთ თავდაცვის ბიუჯეტის მშპ-ს 2 პროცენტამდე გაზრდას,** რაც უზრუნველყოფს თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. საერთაშორისო თანამშრომლობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებაში. გავაძლიერებთ დასავლელ პარტნიორებთან, განსაკუთრებით აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობას, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში.

საქართველოს დაზვერვის და უსაფრთხოების სამსახურებს მთავარი როლი აკისრიათ ქვეყნის წინაშე არსებული არასამხედრო ტიპის რისკებისა და საფრთხეების გაუვნებელყოფაში. **ჩვენ ჩამოვაყალიბებთ პოლიტიკურად ნეიტრალურ, პროფესიონალურ და კარიერული რყევებისგან დაცულ უსაფრთხოების სექტორს.** ასევე აღვადგენთ პარტნიორებთან ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობას.

აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების **სამსახურის (სუს) დეპოლიტიზირება** და გაძლიერება რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის, კონტრ-დაზვერვის და კონტრ-ტერორისტული მიმართულებით. ასევე ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესრულება სუსი - სგან ანტიკორიფციული სამსახურის გადატანით ანტიკორუფციული ბიუროში. დაზვერვის სამსახურში მნიშვნელოვანია შესაძლებლობათა გაზრდა, აგრეთვე ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმები.

პოლიციაში გავაგრძელებთ სისტემურ განახლებას, რომელიც 2018 წელს დავიწყეთ. ჩვენი მიზანია შევქმნათ ანალიზზე და ადრეულ პრევენციაზე, დაფუძნებული სისტემა, რომელიც ერთდროულად ებრძვის დანაშაულს და ზრუნავს ადამიანზე, იცავს მოქალაქეთა უფლებებს. პრიორიტეტული იქნება არასრულწლოვნებზე ზრუნვა. პრევენციით შევამცირებთ დანაშაულის რისკებს და საფრთხეებს.

მნიშვნელოვანია სასაზღვრო პოლიციის ავტონომიურობის თვისობრივი ზრდა, მისი ინსტიტუციური გამთლიანება და შესაძლებლობათა განვითარება. ამ მიზნით, აქტიურად გამოვიყენებთ ჩვენი დასავლელი პარტნიორების, განსაკუთრებით აშშ-ს და ევროკავშირის დახმარებას. **მნიშვნელოვანია, სასაზღვრო პოლიციის და თავდაცვის ძალების ურთიერთქმედების კონცეფციის შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება.**

ჩვენ ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგარეო დაზვერვის, სასაზღვრო პოლიციის და სანაპირო დაცვის მეთაურთა ფიქსირებული ვადით დანიშვნა/არჩევა, მაქსიმუმ ორი როტაციის შესაძლებლობით.

იხილეთ დეტალურად.

საქართველოს სუვერენიტეტის მშვიდობიანი გზით უზრუნველყოფა დეოკუპაციის და შერიგების პოლიტიკის გზით

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჩვენი საერთო ეროვნული მიზანია. ჩვენ ვთვლით, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარეშე არ არსებობს ძლიერი ქართული სახელმწიფო და რომ რუსებს, აფხაზებსა და ოსებს დე-ოკუპაციაზე ჩვენს მაგივრად ვერავინ ვერ დაელაპარაკება. ევროკავშირის წევრობა გვჭირდება სწორედ იმისთვის, რომ ძლიერი ქართული სახელმწიფო დასავლელ პარტნიორებთან ერთად ძლიერი პოზიციით ესაუბროს ოკუპანტ ქვეყანას მშვიდობიან დე-ოკუპაციაზე და მიაღწიოს შედეგს! ეს განსაკუთრებით ნათელია დღეს, როდესაც ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები თვალნათლივ წარმოაჩენს ადგილობრივი მოსახლეობის უუფლებობას, ქმნის მათი იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვის რეალურ საფრთხეს.

ჩვენ შევიმუშავებთ დეოკუპაციის და ქვეყნის მშვიდობიანად გამთლიანების საერთო ეროვნული ხედვას და სტრატეგიას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებით კონკრეტული უწყებების სამოქმედო გეგმას, საშუალო და გრძელვადიან მიზნებს და მათი განხორციელების საშუალებებს. **სტრატეგიაში მოხდება კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის კომპონენტის ჩართვა.** რაც გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვაზე, ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, კავშირების და გადაადგილების, სოციალურ და ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებაზე მიმართულ ინტერვენციებს. **აღნიშნული სტრატეგიის შემუშავება მოხდება საზოგადოების და დასავლელი პარტნიორების ფართო ჩართულობით, ეროვნული თანხმობის საფუძველზე 1 წლის ვადაში.**

ჩვენ გავააქტიურებთ ძალისხმევას საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რათა საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფის, ოკუპირებულ რეგიონებში მაცხოვრებელი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებრივი მდგომარეობის საკითხები საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში დარჩეს.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება, საოკუპაციო ხაზით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობა, უსაფრთხოების გაზრდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების განვითარებისა და უსაფრთხოების მიზნით შევიმუშავებთ მოსახლეობაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რაც მათი საჭიროებების და სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის გაძლიერებას მოიცავს.

რეინტეგრაციის ეფექტიანად განხორციელების მიმართულებით, ჩვენი მიზანია, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები თანამოქალაქეებისთვის უზრუნველვყოთ უფრო ღირსეული პირობები, გაძლიერდეს მათი უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა, **ხელი შევუწყოთ მათ ინტეგრაციის შესაძლებლობებს საქართველოს ერთიან სახელმწიფოსა და საერთაშორისო თანამეგობრობაში.** ამისთვის ჩვენ, გავამარტივებთ ნეიტრალური დოკუმენტების გამოყენებას გადაადგილებისთვის. გავზრდით უმაღლესი განათლებისა და ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობებს, გავამარტივებთ **აფხაზური და ოსური სანომრე ნიშნიანი მანქანების გადაადგილებას და ტვირთის გადატანის რეგულაციებს** გამყოფ ხაზებთან. ასევე, დავიცავთ აფხაზურ და ოსურ იდენტობას კულტურული მემკვიდრეობის პროგრამების მხარდაჭერით და **გავზრდით ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ქალებისთვის.**

იხილეთ დეტალურად.

კულტურის პოლიტიკის ხედვა

ჩვენი პარტიისთვის კულტურა არის ეროვნული იდენტობის ფუნდამენტი და ქვეყნის მომავლის ძლიერი საყრდენი. სამწუხაროდ, ქართულმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობის შემდეგ ვერ შეძლო კულტურის სფეროს გათავისუფლება საბჭოური მართვის მახინჯი ტრადიციებისგან, და დღეს პოლიტიკურმა ჩარევებმა და პოლარიზაციამ ეს სფერო კიდევ უფრო დააზიანა. ჩვენი მიზანია, საქართველოში დამკვიდრდეს კულტურის ევროპული მართვის სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკები, რაც მისი განვითარების და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის საფუძველს შექმნის.

პირველ რიგში, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ კულტურის სფერო გათავისუფლდეს პოლიტიკური ჩარევებისგან და მართვა გადავცეთ პროფესიონალებს. სახელმწიფოს როლი იქნება ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შექმნა და სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება. ეს გულისხმობს სახელოვნებო დარგების ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდას, კონკურსებისა და ტენდერების საშუალებით დაფინანსების სისტემის დანერგვას, და საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით ფინანსური რესურსების მოპოვებას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით, ჩვენ განვახორციელებთ კანონმდებლობის დახვეწას, კერძო სექტორის ჩართულობის წახალისებას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას. ამასთან, ჩვენ ხელს შევუწყობთ კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენებას ტურისტულ მიმართულებებში მისი ჩართვის გზით და უზრუნველვყოფთ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ასევე, კულტურული ცნობიერების ასამაღლებლად, სკოლებში გავაძლიერებთ ხელოვნების და კულტურის ისტორიის სწავლების პრაქტიკას, ხოლო საარქივო საქმიანობაში მაქსიმალურად გამოვიყენებთ ციფრულ ტექნოლოგიებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც მემკვიდრეობის, ისე თანამედროვე კულტურული პროექტების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას.

ინოვაციებისა და კონკურენციის ხელშეწყობით, ჩვენ ვიმუშავებთ, რომ ქართული კულტურა მსოფლიო ასპარეზზე უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს, ხოლო მის ეკონომიკურ პოტენციალს მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

სპორტის პოლიტიკის ხედვა

ქართველი სპორტსმენების ბოლო პერიოდის მიღწევები ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია და ისინი **სამაგალითო როლს თამაშობენ ახალგაზრდებისთვის.** ამ წარმატებებმა ნათლად გვაჩვენა, რომ **საქართველოს სპორტული პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული,** და ჩვენს სპორტსმენებს შეუძლიათ კიდევ უფრო დიდი მიღწევების მიღწევა საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ამ მიმართულებით უნდა მივიღოთ ქმედითი ნაბიჯები, რომ **სპორტი გახდეს თითოეული მოქალაქისთვის უფრო ხელმისაწვდომი და მიმზიდველი.**

პირველ რიგში, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ **სპორტული ფედერაციები გათავისუფლდნენ პოლიტიკური გავლენებისგან,** რაც მათი დამოუკიდებელი და ჯანსაღი მართვის საფუძველს შექმნის. ამასთან, **გავზრდით მოსახლეობის წვდომას სათანადო სპორტულ ინფრასტრუქტურაზე**, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტების დონეზე. ჩვენი მიზანია, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს, ბავშვებიდან - მოზრდილებამდე, ჰქონდეთ **ხელმისაწვდომობა სპორტულ აქტივობებზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე.**

სპორტის განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, არამედ სისტემურ მიდგომას სპორტულ განათლებასა და მომზადებაში. ჩვენ დავნერგავთ **სპორტის განვითარების ახალი სტრატეგიას,** რომელიც **სკოლებში სპორტული განათლების და ახალგაზრდული სპორტული პროგრამების გაძლიერებას მოიცავს.** ეს უზრუნველყოფს, რომ **ახალი თაობა გაიზარდოს ჯანსაღი ცხოვრების წესით** და ჰქონდეს პროფესიული სპორტის განვითარებისთვის საჭირო მხარდაჭერა.

სპორტის სფეროს **მიმზიდველობის გაზრდის** მიზნით, **ჩვენ ვიმუშავებთ ინვესტიციებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობაზე**. ამისთვის დავნერგავთ ინიციატივებს, რომლებიც გააუმჯობესებს სპორტის ინფრასტრუქტურას, მის ხელსაყრელობას ბიზნესისთვის და **მასობრივი სპორტის განვითარებას**, რაც საქართველოს როგორც სპორტული ქვეყნის პოზიციას **საერთაშორისო დონეზე გააძლიერებს.**

ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ **ქალთა ჩართულობის გაზრდას სპორტში,** რაც **სპორტული აქტივობების გენდერული ბალანსის გაუმჯობესებასა** და წარმატებების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ჩვენი მიზანია, რომ ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ასაკისა და სქესისა, ჰქონდეს **თანაბარი შესაძლებლობა სპორტული წარმატებისთვის.**

ქალების ეკონომიკური გაძლიერება და ახალგაზრდების მხარდაჭერის პოლიტიკა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათ შორის პოლიტიკურ ჩართულობაში, აუცილებელია ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. პარტია „გახარია საქართველოსთვის“ მიზნად ისახავს ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების დაცვის გაძლიერებას, მათ შორის ქალთა შრომითი უფლებებისა და ღირსეული დასაქმების მხარდაჭერას, რაც საშუალებას მისცემს ქალებს უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამავდროულად, ჩვენი გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და მათი ჩართულობის გაზრდას პოლიტიკაში, სადაც სახელმწიფო შექმნის შესაბამის მექანიზმებს ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების დასაფინანსებლად.

ქალების ეკ. გაძლიერება: იხილეთ დეტალურად
ახალგაზრდების მხარდაჭერა: იხილეთ დეტალურად